ოთხშაბათი 1918 წ. მარტის, 21—(2) № 55 წელიწადი მეორე

ოთხშაბათი 1918 წ. მარტის, 21—(2) № 55 ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია.**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ავტორი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч. ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

ღრმად დამწუხრებული თედო სახოკია შვილებითურთ თინათინი და ვახტანგი, მამა დეკანოზი ანტონ კეკელია შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 18 მარტს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ბანძაში გარდაიცვალა თედო სახოკიას მეუღლე

**ნადეჟდა სახოკიასი**

დაკრძალვა მოხდება მარტის 22, ხუთშაბათს სოფ. ბანძაში.

---

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა ოტატო; ძმები: ერმალო და სამსონი; რძლები: მარი, ელენე და მინადორა; ძმის წულები: ვასილი, აკაკი, რაჟდენი, ივანე, ლაზარე, ნიკოლოზი და დათიკო, ზინა ანიჩკა, თამარა, ქეთო, ბაბილინა, ვერიჩკა და თამრიკო ზვიადაძეები; სიძე ივანე ჭოლოკავა,—და ნატალია და დისწული აგრაფინა ჭოლოკავას ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უეცრათ გარდაცვალებას

**ელიზბარ ლაზარეს ძე ზვიადაძისას.**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, ოლასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, ძველი ხონის ქუჩა, საკუთარი სახლი. 2—1

---

მწუხარებაში მყოფნი ამხანაგები: ნესტორი გიორგის ძე კიკაბიძე და ივანე დავითს ძე მაღლაკელიძე აუწყებან ნაცნობთ და მეგობრათ ძვირფასი ამხანაგის

**ელიზბარ ლაზარეს ძე ზვიადაძის**

უეცრათ გარდაცვალებას. სთხოვენ ამხანაგ-მეგობრებს თავიანთი დასწრებით პატივ სცენ მიცვალებულის გამოსვენებას, რომელიც მოხდება ხუთშაბათს 22 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე ოლასკურის სასაფლაოზე. (ძველი ხონის ქუჩა, საკუთარი სახლი) 2—1

---

გულ დათუთქული სიძე ივანე ჭოლოკავა, მეუღლე მისი ნატალია და ქალიშვილი აგრაფინა ღრმა დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უეცრათ გარდაცვალებას პირველის ცოლის ძმისა, მეორესი ძვირფასი ძმისა ხოლო მესამის ბიძის

**ელიზბარ ლაზარეს ძის ზვიადაძისას**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე ოლასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე ძველი ხონის ქუჩა, საკუთარი სახლი. 2—1

---

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები ეგნატე ივანეს ძე და ელისაბედ ნიკოს ასული ნარსია შვილებით—ნადია ნიჟარაძისა თავისი ვაჟით, ოლია, თამარა, ელენა, გრიგოლ, კოწია თავის მეუღლით, ლიდა გაბრიელის ასული, ვალოდია, ალიოშა და შალიკო ნარსიები, დეიდა აკვილინა ნიკოს ასული კაჭარავასა, ბიძანი თავიანთი ოჯახით იონა ნიკოს ძე ჭითავა და არსენ ნიკოს ძე ფოჩხუა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა

**გერმანე (ჭიჭიკო) ეგნატეს ძე ნარსია**

რომელსაც მოასვენებენ 22 მარტს დილის მატარებლით თბილისიდან და გამოასვენებენ სადგურიდან 8½ საათზე დაკრძალვის დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული.

---

# განცხადება.

## ნ. ლომსიანიძის და გოცირიძის

საამხანაგო სავაჭრომ მიიღო დიდძალი „საბაკალეიო“

## საქონელი

და ჰყიდიან მეტად დაკლებულ ფასებში. მისამართი: მიხეილის ქუჩა, გოკიელის სახლი. (თვ.)

---

**ექიმი ვ. ა. ნემსაძე** დაბრუნდა ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება, ყოველ დღე; შუადღის 12 საათ. ნაშუადღევის 2 საათ. მისამართი: ჯერჯენობით, ოლდენბურგის ქუჩა, (რესპუბლიკის) გეგელაშვილის სახლი.

---

## დღევანდლისთვის.

საქართველოს გემი აღელვებულ ზღვაში ქანაობს და აბობოქრებულ ტალღების დაწყნარება-დამშვიდებას სცდილობს. ამიერ კავკასიის კეცხლი მოედო ყოველ ნაბიჯზე წამოიჭიმა შინაურ სისხლის ღვრის შავი სახება. ქართველები ამ შავბნელ დროს ისევ ბურუსიან და გულუბრყვილობის გზას ვადგივართ. აქამად საქართველოს ხელმძღვანელი, პარტია, რომელმაც ბოლო დროს სამშობლოს დასაცავად დაიწყო პირჯვარის წერა თბილისში აფრიალებს ინტერნაციონალის დროშას და მოქიშპე სომეხ თათრების შერიგებას უნდება. რუსეთის დამხობის შემდეგ მენშევიკები ამიერ კავკასიაში აერთებენ ყველა ქვეყნის ვითომდა პროლეტარებს. მაგრამ სოციალდემოკრატებმა კარგად უნდა იცოდენ, რომ მათ არც სომხეთიდან და არც ადერბეიჯანიდან მუშათა ინტერესის დამცველი არავინ მოუვა.

ხატისოვებს ხანხოისკებს და სხვათ ქვეყანა იცნობს თუ როგორი ინტერნაციონალისტები არიან. თათრები და სომხები იგებენ თავის ეროვნულ შენობას; თათრები და სომხები იკრიბებიან ეროვნულ საბჭოების გარშემო და ეროვნული სამხედრო ძალა მას დაუმორჩილეს. ქართველები ვლოცულობთ სეიმზე, ამიერკავკასიის მთავრობაზე, რომელსაც ქართველების მეტი არავინ ნამდვილ ანგარიშს არ უწევს. მთავრობის პარტია გვარწმუნებს, რომ ამიერ-კავკასიის გარეშე მინისტრისაგან დაცვა მოხდება ყველა ერების შეერთებულ ძალით. მერე რამდენი თათარი ან სომეხი იბრძვის დღეს ბათომის დასაცავად რამდენი სომხური ან თათური ჯარია ამიერ კავკასიის მთავრობის განკარგულებაში? ყველგან ქართველები ვიტეხთ თავ პირს, ყველგან ვეჩხირებით და ბოლოს ვაი რომ საშინლად დამარცხებულიც თუ მთლად მოსპობილი ჩვენ დავრჩეთ. სომხებს და თათრებს, რომ თავი დავანებოთ ამიერკავკასიის რუსები ეს ბიუროკრატიის შავი კორპუსი, თბილისში ისე გაკადნიერებულან რომ რუსულ სეიმის დაარსებას მოითხოვენ და ისიც **სახელმწიფურ უფლებით**. განცვიფრებული ვართ და ვამბობთ. გიჟის ოცნებაა თუ მართლა უპირობენ ამ მიზნის განხორციელებას. სად ყოფილა, სად გაგონილა, რომ უცხოეთში რომელიმე ერის ახალ—შენს მთავრობის უფლებით აღჭურვილი სეიმი შექმნას? მაგრამ გასაკვირი არაფერია. იმ ქაოსში რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით ყველაფერი მოსალოდნელია, ყოველგვარ უცნაურობისთვის ასპარეზი თავისუფალია. ავანტიურისტი რუსები პრესაში აცხადებენ, რომ კავკასიას **ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლია** და ისინი იყურებიან ჩრდილოეთისაკენ საიდანაც ახლა ჩვენსკენ მოგორავს ვილჰელმისგან თავ გაჭეჭყილი რუსული ბოლშევიკური ტალღა რომელი ბოლშევიზმიც რუსულმა „იზვესტია“-მ რუსულ სახელმწიფურ იდეიათ აღიარა. ვინ იცის, ბოლშევიკების მიზანიც ამის შემდგომ ეროვნულ სახელმწიფოების ერთად შეწევება იყოს. ამისათვის ბოლშევიკებს კავკასიაში მოკავშირეც აღმოუჩნდებათ. სომხები რუსეთის მთლიანობას მოითხოვდენ. „იზვესტია“ ამ დღეებში ექვეთა ეროვნულ საბჭოს და მათი დამხობა იქადაგა. ჩვენ ვიტყვით, რომ „იზვესტიელები“ ეს რუსული იმპერიალისტების ბუკი და ნაღარები ღირსებით კი არ არიან, რომ ერის უზენაეს ორგანოს ეროვნულ საბჭოების სახელი ახსენონ.

ამიერ კავკასიაში ყოველგვარ ავანტიურისათვის პირობები უზენაეს ყოფილია, რომელი ავანტიურაც შეიძლება საერთო კატასტროფად იქცეს და ეს კატასტროფა კი უწინარეს ყოვლისა ქართველებს დაგვღუპავს. იმ პოლიტიკით, და გეგმით რომელითაც ამ ხანად მთავრობის პარტია მიუძღვის ქართველ ერს ყოვლად შეუძლებელია ქართველი ხალხის ხსნა.

კოს,ოლიტობა სად ძალუძს. ქართველ ხალხს სოციალ დემოკრატია უნდა იქცეს ნამდვილ ეროვნულ პარტიად და მაშინ მოახერხებს იგი ქართველი ხალხის გადარჩენას. სოციალდემოკრატიამ ეროვნულის თვალსაზრისით უნდა განსჭვრიტოს როგორც ჩრდილოეთის საფრთხე ისე შინაური ანარქია და აღმოსავლეთისა და არა კლასობრივის გერმანელები საზღაპრო საქმეებს სჩადიან, მთელ ქვეყანაზე იმარჯვებენ მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანეთის ხალხს ერთი პირი აქვს, ერთეროვნული შეთანხმებით სცოცხლობს. გერმანეთი აქვანია სოციალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატებისა, იქ მცხოვრებთა ერთი მესამედი სოციალდემოკრატია, მაგრამ დღეს გერმანიის სოციალისტებმა უკიდურეს ნაციონალისტობაში გამოიჩინეს. ხსნა მხოლოდ ეროვნულ პოლიტიკაში და ეროვნულ შეთანხმებულ თანამშრომლობაშია. პარტიულ ორგანიზმით ქართველი ხალხი დაიღუპება, დროა ერის ხელმძღვანელობა პარტიამ საერთო თანამშრომლობით შექნას ქართული სახელმწიფოური პლატფორმა და მით წარუძღვეს საქართველოს.

**ახალი.**

## პარტიული ჯიუტობა.

ჩვენს გაზეთებში არა ერთი წერილი იყო მოთავსებული შესახებ იმისა, თუ რა უკანონობა და სოცარი თვითნებობა ჩაიდინა გუბერნიის კომისარმა იმით, რომ მთელი ლეჩხუმის მაზრა „კანონს გარეშე“ გამოაცხადა. ყველა მიმართულების გაზეთებმა, გარდა სოციალ-დემოკრატების ორგანოთა, ერთხმად აღიარეს, რომ კომისარმა მიუტევებელი შეცდომა ჩაიდინა. რა გაეწყობა! შეუმცდარი ადამიანი არაა — შეცდა ჩვენი კომისარიც! მაგრამ შეცდომას გასწორება ეჭირვება, ნამეტურ იმ შეცდომას, რომელიც მთელი მაზრისთვის და მისი მეზობელი ადგილებისთვის დიდი საზარალოა. საჭირო იყო, შეუფერებელი სასჯელი, რომელიც ლეჩხუმლებს მიენიჭა, დაუყონებლივ მოეხსნათ. მაგრამ ასე არ ინება ჩვენმა მთავრობამ. კითხვა იმაზე, კანონიერი იყო ბ. კაჩუხაშვილის განკარგულება თუ არა, იქნა დასმული ბევრ ჩვენ დაწესებულებებში, სადაც — მოგეხსენებათ — საქმის გადამწყვეტ უმეტესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ. როგორ გადასწყვიტეს ეს კითხვა, როგორ შეხვდნენ იგინი თავის ამხანაგის განკარგულებას? ჩვენდა სამწუხაროდ და მათდა სამარცხვინოთ, იმათ აღიარეს, ბ-ნი კაჩუხაშვილის „ბრძანება“ კანონიერია, გარემოების შესაფერი და ამიტომ სავსებით მისაღებიაო. მოიგონეთ, ბ. გიორგაძის სიტყვა სეიმში! ის ემსგავსებოდა თავის სიტყვით იმ ვექილს, რომელსაც ძლიერ სურს ბრალდებული გაამართლოს, მაგრამ ლოღიკა და საქმეში შეკრებული მასალა ხელს არ უწყობს. აქ, რასაკვირველია, არაა საჭირო, რომ ვამტკიცოთ სოციალ-დემოკრატების აზრის უვარგისობა. მხოლოდ საინტერესოა ვიკითხოთ, რომელი საიდუმლო მოტივით, მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი მენშევიკები, როდესაც ბარბაროსული განკარგულება ძალაში დასტოვეს? პარტიული ჯიუტობით! — აი ერთად ერთი პასუხი, რომელიც აქ შეიძლება.

პარტიული ქინიანობა ყოველთვის და ყოველგან მავნებელია, რადგანაც ის ჭეშმარიტებას, მაშასადამე, სამართლიანობას გვერდს უვლის. მაგრამ განსაკუთრებით მავნებელია და შეუწყნარებელი იგი მაშინ, როდესაც პარტიას ბედმა ქვეყნის მმართველ-გამგეობა არგუნა. აქ ჯიუტობა ნიშნავს იმას, რომ პარტია მაინც ვიწრო პარტიულ გზას და შეხედულებას ადგია, რომ ის მაინც არ შეიქნა ზეპარტიული მმართველობის წარმომადგენელი, რომ მას არა აქვს დიადი მოვალეობის აღსრულების უნარი, არა აქვს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ნიჭი...

**დ. გურული.**

## მიწის კითხვა.

2

მიწაზე კერძო საკუთრება — მოქალაქობრივ თავისუფლების საწინდარია. თითოეული პიროვნება კერძო საკუთრებით არის დამოუკიდებელი თავის ოჯახურ ცხოვრების ფარგალში. კერძო საკუთრება ცხოვრების განვითარებას უწყობს ხელს. კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენდა მოცილეობა ინტერესი, რასაც პროგრესისკენ მივყავართ.

მევენახე ცდილობს საუკეთესო ღვინო დაამზადოს და ამით კონკურენცია გასწიოს, მიწის მუშა იღწვის, რომ მისი ნამუშევარი კარგი გამოვიდეს ასევე ქარხნებში. ერთი ფაბრიკა მეორეს ეჯიბრება. ეს გარემოება კი, როგორც ვსთქვით მთავარი ფაქტორია ახალ საარსებო საგნების შეძენისათვის და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

მეურნეობის აღორძინება და გაინტენსივება მხოლოდ კერძო საკუთრების პრინციპის დაცვით შეიძლება. კერძო მესაკუთრეს სწამს, რომ მამულის მთელი ნაყოფიერება მას უნდა ხვდეს და გარდა ამისა მიწა მის შემდგომ შვილს თუ შვილიშვილს გადაეცემა სამემკვიდროდ, რისთვისაც უერთგულესად ეწევა შრომასა და მამულს ანაყოფიერებს. ვაზის, თხილის, დაფნისა და სხვა კულტურულ მეურნეობის დარგს საფუძვლად უდევს კერძო საკუთრება. არც ერთ განათლებულ დაწინაურებულ ქვეყანაში არ მისულან იმ დასკვნამდე, რომ **მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება** გააბედნიერებდა ხალხს. გერმანეთი; რომელიც აკვანია ყოველ გვარ მეცნიერების და ამასთანავე იქ მცხოვრებთა ერთი მესამედი სოციალისტია, კერძო საკუთრება არ უარუჰყვია. დასავლეთ ევროპაში სოციალისტურ ქადაგების დროს უფრო გავრცელდა კერძო თაოსნობა. 1885 წ. გერმანეთში წვრილი და საშუალო წარმოება ბევრად წინ უსწრობდა მსხვილ წარმოებას. ამით მტკიცდება, რომ საკუთარი ინიციატივის სურვილი ადამიანში თან და თან იზრდება და ვითარდება. ერთად შეჯგუფება კი არ ხდება წარმოებისა, არამედ მისი ცალცალკე ნაწილებად დაყოფა. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს მიწის კითხვა საქართველოში და ისევ მას დაუბრუნდებით. სოციალისტების პროპაგანდისტები იმ დროს, როდესაც უხვად აბნევენ ძვირფას დაპირებათ ხალხში ამბობენ, რომ მიწა და ჰაერი (ესერები) ერთი და იგივეა და მისი დასაკუთრება არავის არ შეუძლიაო ეს ჩვეულებრივი ფრაზაა. მიწა წმინდა საწარმოვო დარგია, არსებობის ღერძია, და როგორც ასეთი საგანი, ყოველ პიროვნებას თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს თავის თავის უზრუნველ საყოფელად. სოციალისტები იძახიან, რომ მიწის განსაზოგადოებრივის ე. ი. სოციალიზაციის დროს ბედნიერება დამყარდებაო. ეს ოცნებაა და საპროპაგანდო ბროშურაში მოქცეულ თეორიით ხალხის მოხიბლვა მიწის **საერთო წესით დამუშავების დროს** გაქარწყლდება პიროვნების თავის უფლება. მიწის მუშა უნდა დაექვემდებაროს საერთო წესს უნდა იმუშაოს მაშინ, როცა ყველა მუშაობს, და უნდა იშრომოს იმდენი, რამდენიც საერთო თვალსაზრისით იქნება დაწესებული. კარგმა მუშამ და ცუდმაც შრომის ნაყოფი ერთნაირად უნდა გაიყონ. მიწის მუშები უნდა დაემორჩილონ საერთო ბრძანებას, რაც ბოჭავს პიროვნულ თავისუფლებას; ვერც ხარს იყიდის და გაყიდის, (კოლექტიური წესი) ვერც სამუშაო იარაღს შეიძენს თავის კეთილზე, ერთი სიტყვით მონად გადაიქცევა.

მიწის მუშა, რომელიც შეზრდილია მამულში თავისუფალ შრომას, უნდა დღეს იმუშავებს, ხვალ დაისვენებს, უნდა ადრე დაიწყებს მუშაობას, უნდა და გვიან, გასაჭირის დროს გაჰყიდის ხარს, მიწას ხელის მომართვის შემდგომ ისევ იყიდის ასეთი ტრადიციით აღზრდილი მიწის მუშა თავის დღეში ვერ მიიღებს სოციალისტების პროგრამას, რადგან იგი მას მონობას პირდება.

მიწის მუშა ერთობა ცხოვრებას და ხალისობს თავის მამულით, რადგან იგი მისი საკუთრებაა.

ჩამოართვით მას საკუთრება და მაშინ იგიც იძულებულ იქნება თავი გაანებოს მამულის გასუქებას ინტენსიურ მეურნეობის მოწყობას. მაშინ ყველა იტყვის, რომ რაც ჩემი არ არის მეწყერმა ზიდოსო. საერთო დამუშავების დროს ყველა ერთმანეთს დაუწყებს ცქერას და წარმოიშობა მასიური სიზარმაცე. კერძო საკუთრების დაშლა სიკვდილია მიწის მუშისთვის, თუ კი მას უყვარს თავისუფლება უნდა თავის ცხოვრების გაუმჯობესება და არ სურს ყაზარმულ ბრძანებას დაემორჩილოს. ისე ვინც პიროვნების თავისუფლებას პატივსა სცემს, ყოველთვის კერძო საკუთრების მოტრფიალე იქნება.

საქართველოში კერძო საკუთრება სარწმუნოებად არის გადაქცეული, ჩემი მამული ჩემი სამოთხეაო, იციან თქმა. ბატონყმობის გადავდების მერე საქართველოში მიწის ფულით შესყიდვას მასიური ხასიათი მიეცა.

მიწის მუშები (ამათ შორის მაშინ იყვნენ როგორც გლეხები, ისე აზნაურები) მშიერებსავით დაეძებდენ საყიდლად მიწას.

დიდ უმრავლესობას მიწა მთლად თუ არა, ერთი ნაწილი მაინც საკუთარი ნაშრომი ფულით აქვს შეძენილი. თუ ოდესმე არსებობდა ჩვენში ფეოდალური მფლობელობა, იგი გაჰქრა. წვრილ საკუთრებათ შეისყიდეს უმამულო მცხოვრებლებმა. და თუ დარჩა რამდენიმე დიდი მამული, იგი უსათუოდ ან საადგილმამულო ბანკშია დაგირავებული, ანდა უცხოელს აქვს საიჯაროდ აღებული. თავისუფალი მიწა დღეს ჩვენში სრულიად უმნიშვნელოა; მაგალითად, რომ ავიღოთ 100 კაცი მიწის დასაკმაყოფილებლად მათში 10 ვერ დავაკმაყოფილებთ.

ყველა დაეძებს მიწას საყიდლად და ფასსაც დიდს აძლევს, მაგრამ ვერშოულობს.

ჩვენი ხალხის უდიდეს ნაწილს მიწა ფულითა აქვს შეძენილი. ასეთ მიწაზე ხელი მიყო ხალხმა ბაღის, ვენახის თხილის, ვაზის, ვაშლისა და ბამბის კულტურის მოშენებას. იმერეთში ერთ დესეტინა მიწაზე მცხოვრებს ვაზიც აქვს, ბამბასაც სთესს, საქონელსაც აბალახებს და ყანაც მოჰყავს.

ქართული მეურნეობა განსაკუთრებულ კონკრეტულად არ შეიძლება გამოისახოს. ის არეულია ერთად, ერთსა და იმავე დროს კაცი მელვინეც არის, მეაბრეშუმეცა და სიმინდის მომყვანიც.

ასეთია მეურნეობის სახე ერთის თვალის გადავლებით. როგორც დავინახეთ მისი საფუძველია კერძო თაოსნობა, კერძო შრომა.

სოციალისტები მაინც ფიცულობენ, რომ კერძო საკუთრება თუ მოისპო, მიწაც ბევრი იქნება და სიღარიბეც გაჰქრებაო.

და ამას ამბობენ იმიტომ, რომ ოდესღაც მათმა მოძღვარმაც ასე ჩაუწერა სახარებაში. მაგრამ რას იზამენ როდესაც რეალი ცხოვრება მათ ამარცხებს სინამდვილის წინაშე ისინი ქედს იხრიან. პროგრამა ერთია ცხოვრება მეორე. სოციალისტებმა საკმაოდ არწმუნეს ხალხი, რომ კერძო საკუთრება მოისპობა, მათი პროგრამა ამას ამბობს და ქვეყანაც სამოთხეს დაემსგავსებაო. სამოთხის შესახებ რა მოგახსენოთ, მაგრამ სოციალისტებმა მიწის ერთი კანონი კი გამოსცეს... კანონის შესახებ შემდეგ.

**ი. იმერელი.**

## გერმანელების შეტევა.

მარტის 28 ცნობა

**ბერლინი** მარტის 28 ღამე ქვეითა ჯარის მარჯვე წინსვლით მტრის ფრონტი გარღვეულია. ინგლისელები მთელ თავიანთ ძალებით ეწინააღმდეგებიან ჩვენს წინსვლას. ამ ადგილებში საპოზიციო ომი უკვე ველზე გადავიტანეთ. მტრის კოლონები დასავლეთისაკენ იხევენ. ჩვენი უზენაესი აკომანდა ემზადება ფრონტის დანარჩენ უბნებზე შესატევად. მარტის 26-ს როტმისტრმა რიტგოჰეკმა ჩამოაგდო მტრის 73-ე ჰაეროპლანი. ამის გამო მისმა მამამ მაირმა რიტგოჰენმა საჰაერო ფიტის უფროსისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: დღეს თქვენმა შვილმა მტრის 73-ე ჰაეროპლანი ჩამოაგდო თქვენს ორთავე შვილს 100 საჰაერო გამარჯვება ხვდათ. მფრინავთა ოჯახი აღტაცებულია მათი სიმამაცით და სალამს უძღვნის გმირთ. ამავე დროს კეთილ რაინდების მშობლებს.

დღეს მრავალნი მიულოცვენ თქვენს გმირ შვილებს.

**საფრანგეთის ცნობა.**

„რეიტერის სააგენტოს“ ცნობით, დასავლეთ ფრონტიდან სარეზერვო ჯარები ავტომობილებით სწრაფად გადაჰყავთ ფრონტის იმ უბნებზე, სადაც მტრის შემოტევას ელიან. პარიზიდან მცხოვრებნი გარბიან. დიუნკირხენს, იპრის რაიონს, არმანტიერს, ლაბასსეს, მცხოვრებნი პარიზისკენ მიდიან.

**საწირავი ომში დასახიჩრებულთათვის.**

ლიუდენდორფის სახელობაზე ომში დასახიჩრებულ ჯარის-კაცთათვის შესწირეს: კრუპპის ფირმამ 2 მილიონი, კრუპპის ცოლმა 250 ათასი მარკა და ჰუგო შინესის სააქციო საზოგადოებამ 300 ათასი მარკა.

**ბულგარელების სიხარული.**

**სოფია.** მარტის 28. გერმანეთის ჯარების წინსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მთელ ბულგარეთში. ყველას იმედი აქვს, რომ ეს შეტევა ცენტრალ სახელმწიფოთათვის სრულს ტრიუმფით დასრულდება.

**ჯავშნოსანი „ვოლფი“.**

**ბერლინი** მარტის 28. ჯავშნოსან „ვოლფის“ ეკიპაჟი დღეს ლიუბეკისკენ გაემგზავრა. წამსვლელ მეზღვაურებს გამკილებლებმა დიდი ოვაციები გაუმართეს.

## უცხოეთის ამბები.

ბოლშევიკების ჯარის ერთი სარდალი იუწყება, რომ ადესასთან ბრძოლის დროს მას რეგულიარი ჯარი არ ემორჩილებოდა და არც ეხმარებოდა. ადესის საბჭოებმა ვერავითარი სიმწიფე ვერ გამოიჩინა და ერთი ბატალიონიც არ მოგვაშველაო.

— —

კადეტთა ორგანო „ნაშ. ვეკ.“ სატახტო ქალაქ პეტერბურგიდან მოსკოვს იქმნა გადატანილი.

— —

უკრაინაში სამოქალაქო ომი გრძელდება. ზემოდნეპრის მხარეში პარტიზანული ნაწილები, სახალხო კომისრების მთავრობის ცნობას მოითხოვენ, მათ წითელ გვარდიელებმა სასტიკი სროლა აუტეხეს. სისხლის ღვრაა.

— —

არხანგელსკის ინგლისელების მიერ აღება ჯერ არ დადასტურებულა.

— —

„იზვესტია“ იუწყება რომ ყაზანში გამოცხადდა ყაზანის მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა შედგენილ იქმნას ყაზანის სახალხო კომისართა საბჭო.

— —

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ამ ჟამად 20 მილიონის ყალბი ფული მამოსულა და ამათში 3 მილიონი სახელმწიფო დაწესებულებში შეუტანიათ.

— —

პეტერბურგში წითელ გვარდიელებმა იარაღი აჰყარეს პრეობრაჟენის პოლკს.

— —

რომანოვთა გვარეულობის წევრებს, რომელთაც 16 წელი შეუსრულდათ, ებრძანათ შემამოწმებელ კომისიებში გამოცხადდენ.

— —

ბოლშევ. გაზ. „პრავდა“ მოუწოდებს მუშებს მიესიონ ბურჟუაზიას, სპეკულიანტებს და ობოროტცებს, რომელთა ბრალიც არის მთავრობის მოსკოვში გადატანა.

—

რუმინეთი ცენტრალ სახელმწიფოებთან ზავს ჰკრავს. გერმანეთმა რუმინეთს წაუყენა ეკონომიური პირობები საზღვართა მოხაზულობა და მოითხოვა რუმინეთს 8 დივიზიის დაშლა. რუმინეთთანა ზავა.

— —

ბერლინიდან იუწყებიან რომ ყირიმში ტრიალებს პოპულიარული აზრი შავიზღვის სანაპიროებთ მოსახლე ერების ერთ სახელმწიფოდ შეერთებისა, რომელ სახელ-

მწიფოსაც დაერქმევა სახელად შემკრებელი სახელმწიფო.

ამ სახელმწიფოში შევლენ დონის ყაზახთა ნაწილი თათრები ბესარაბიელები, რუმინელები და სხვანი· სატახტო ქალაქად იქნება ოდესა.

გერმანელები ირწმუნებიან რომ ამ კავშირში ბოლოს ბულგარეთი და ოსმალეთი შევლენ.

— —

ვარშავიდან იუწყებიან, რომ გერმანეთმა მოითხოვა პოლონეთის· რეინის გზები და სახელმწიფო ქონება გერმანეთის მფლობელობაში გადავიდეს, ამასთანავე პოლონეთმა უნდა მიიღოს 10 მილიონიან გერმანული სამხედრო ვალი. საზღვრები პოლონნთისა ასეთი იქნება. ჩრდილო დასავლეთის საზღვარი პოლონეთისა გაივლის მდ. ნარევთან, ქ. მოლდნი, პენძინი და ოლკუში გადადის გერმანეთის ხელში.

— —

ლაზარევის ინსტიტუტი სომხების ინიციატივით პეტერბურგიდან სურსთ ეჩმიაძინში გადმოიტანონ.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

**გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ ფინდისთვის ბბ. ლაზარე ხმალაძემ და კოწია ლომთაძემ შემოიტანეს 310 მან. რეალურ სასწავლებელში შეკრებილი. წვლილის გამღებთა სიას ხვალ მოვათავსებთ.**

✦ **სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა შორის.** ქუთაისის გუბერნიის ბათუმისა და სოხუმის ოლქებში სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირთა კავშირის დელეგატებმა 15 მარტის კრებაზე დაადგინეს: რადგანაც მახლობელ დროში მოსალოდნელია სახელმწიფო ზოგიერთ დაწესებულებების გაუქმება და იქ მოსამსახურეები კი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებიან ჯამაგირების მოსპობის შემდეგ,—ამისთვის თებერვლისა და მარტის ჯამაგირებიდან გადაიდვას ყველა მოსამსახურეებიდან 3 პროცენტი ჯამაგირისა და ამ თანხით დახმარება აღმოუჩინონ უადგილოდ დარჩენილ ამხანაგებს.

✦ **დ. ცაგერი.** როგორც ცაგერიდან იტყობინებიან იქ ტფილისიდან მისული დელეგატები, რომელნიც ხალხს კარგად მიუღიათ.

✦ **ბორჯომის წყალი.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გამოარკვია და ქალაქის მოურავს თბილისში პირდაპირი მავთულით აცნობა, რომ ქუთაისისათვის ყოველ კვირეულად საჭირო არის 3660 ბოთლი ბორჯომის წყალი.

✦ **განმარტება მკვლელობის შესახებ.** გუბერნიის კომისარს მილიციის უფროსი ატყობინებს, რომ მუშკუდიანისა და ალერწიანის მკვლელობა მომხდარა შემდეგ ნაირად. როდესაც მილიციელებს ისინი საგუბერნიო ციხეში მოსათავსებლად მიჰყავდათ, ჰოსპიტლის ქუჩაზე მათთვის ვიღაცეებს სროლა აუტეხიათ ამ დროს ტუსაღები გაქცეულან მილიციელებმა კი ამ დროს მათ ესროლეს და მოჰკლესო.

✦ **შაქრის გაძვირება,** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცეს, შესაძლებელია აპრილიდან აიმატოს შაქრის ფასმა.

✦ **ზავის შესახებ** ტრაპიზონიდან არავითარი ცნობები არ მოსულა.

✦ **ცნობები პირდაპირის მავთულით.** ქუთაისის ქალაქის მოურავი თბილისიდან ქალაქის გამგეობას პირდაპირის მავთულით ატყობინებს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას ნება დართო აიღოს 278000 მანეთიანი სესხი მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. ქალათა კავშირს კი ქუთაისისათვის დაუთმობია წყლის სადენის 600 მილი. ეს მილი მოხმარდება ქალაქის საავადმყოფომდის წყლის სადენის გაყვანს.

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

✦ **სურსათის რაოდენობა ქუთაისში.** ქუთაისში ამ ჟამად მოიპოება 12.000 ფუთი ქერი ე. ი. 18 დღის საყოფი და 4 ვაგონი შაქარი. სხვა სანოვაგის რაოდენობა ქუთაისში უმნიშვნელოა.

✦ **ბოროტება.** ქუთაისში უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში დახარჯულა ნორმაზე მეტი 3 ვაგონი შაქარი. ეს შაქარი ბოროტმოქმედებს ყალბი ბარათებით გაუტანიათ.

✦ **ტყვეულობა.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა გაგზავნა ბათუმს ფეხსაცმელების ტყვეულობის შესაძენად თავის წარმომადგენელი ანეპოტისტე ჯაფარიძე.

✦ **განკარგულება.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ აღარ იქნეს მიღებული თხოვნები სამოსახლო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ.

✦ **სურსათი სოფლებიდგან.** ცუდი ამინდების გამო ქუთაისში სოფლებიდან სურსათი აღარ შემოდის.

✦ **გადასახადების შესახებ.** ქ. ქუთაისის ხარჯთ გამწერი ინსპეკტორი (Податной инспекторъ) აცხადებს შემოსავალზე გადასახადის (Подоходный налогъ) გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ ის პირნი, რომელთაც შარშან 1917 წელს ქონიათ სხვადასხვა წყაროებიდგან ათას (1000) მანეთზედ მეტი შემოსავალი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შემოიტანონ ამის შესახებ განცხადება, (заявленiе ф № 8) წინაღმდეგ შემთხვევაში იქნებიან დაჯარიმებული ორასი (200) მანეთით.

✦ **დაპატიმრება.** სახალხო მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს აფიცერი ალექ. ცქიტიშვილი და ბაგრ. ლვამბურიძე. აღნიშნული პირები მთვრალები შესულან 19 მარტს მილიციის უფროსთან და ყვირილით რაღაც ანგარიშების გასწორება მოუთხოვიათ. ამის გამო ორივე საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

✦ **იტალიის ფრონტზე** ავსტრო-გერმანეთის ჯარებმა სამხედრო მოქმედება გააძლიერეს.

✦ **საფრანგეთის ფრონტი** გერმანელები კვლავ განაგრძობენ მკაცრ შეტევას. რამდენიმე სიმაგრე მათ უკვე აიღეს.

✦ **მაჰმადიანები** თავს დაესხნენ ბაქოსკენ მიმავალ სამგზავრო მატარებელს და გაძარცვეს.

✦ **საოჯახო კომიტეტები.** ორშაბათს 19 მარტს მოხდა ქალ. სასურ. კომიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც დადგინეს, აპრილამდის მოხდეს საუბნო სასურ. კომიტეტების რეორგანიზაცია. მის მაგივრად უნდა მოეწყოს საოჯახო კომიტეტები.

✦ **კრება.** დღეს 21 მარტს, დღის 1 საათზე მოხდება ქალ. სასურსათო უნდო კომიტ. წევრთა კრება, რომელზედაც შეამცირონ გამგეობის წევრთა რიცხვი. სამს მაგიერ იქნება ორი

# † საშა ადამია.

მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დეპეშამ: სოხუმში უეცარ შემთხვევას უმსხვერპლია ძალღონით სავსე ახალგაზრდა, მოსკოვის რკინის გზის ინჟინრების ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ალ. ადამია. განსვენებული მეტად სპეტაკი გულისა და ფაქიზი ზნეობის პატრონი იყო. მისი დინჯი, უშფოთველი, ყველაფერში დაკვირვებული ხასიათი და ზნეობრივი სიფაქიზე ყოველთვის მაღლა აყენებდა მას სხვა დანარჩენ ამხანაგებზე. შრომის მოყვარეობა, ადამიანის ამაგის დაფასება და გაჭირვების დროს ამხანაგისათვის თავის გაწირვა დამახასიათებელი თვისება იყო განსვენებულის ხასიათისა. ღარიბ დედ-მამის შვილი, ის მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მძიმე ტვირთად არ დაწოლოდა თავის მშობლებს და თავის სწავლა განვითარების საქმეს თვითონვე გაძღოლოდა, დილიდან საღამომდის თავაუღებლივ მუშაობდა, საქმის დროს მან არ იცოდა რა იყო დასვენება, მუდამ წიგნს ჩაჰყურებდა და მით უნდოდა თავის ცოდნა შესამჩნევად გაეფართოებია. ჰიკო, ასე ვეძახდით მას ამხანაგ-მეგობრები, ყოველთვის სამაგალითო ამხანაგი იყო. მან იცოდა ხუმრობისა და მუშაობის დროს განსაზღვრა, მისი დაუღალავი შრომა-მაცადინობა ჩვენთვის მაგალითი იყო. გარდა წმინდა სპეციალურ ცოდნისა, მას სწადდა სხვა ცოდნაც მიეღო, განსაკუთრებით პოლიტიკურ-ეკონომიური, ამისათვის ის მრავლად იძენდა სხვადასხვა პოლიტიკურ ხასიათის წიგნებს და არა ერთი ღამე გაუთენებია მას მათი წაკითხვით. შესწავლის დროს ის ცდილობდა არ ჩამორჩენოდა პოლიტიკურ ცხოვრებას, უნდოდა მასაც თავისი წვლილი შეეტანა შიდ, თუმცა მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა მთლად ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ იყო. ჰიკოს სწამდა, რომ მომავალი მშრომელი ხალხისაა, სწამდა რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს ამ ქვეყნად და უნდოდა, რომ ამ ჭეშმარიტების, მშრომელ ხალხის სამსახურისათვის თავი გაეწირა, მაგრამ ამავე დროს ის არ ივიწყებდა თავის სამშობლოს, თავის მშობელ ქვეყანას... სამშობლოს მოწყვეტილი, დაშორებული მის ცხოვრების მაჯის-ცემას, ის მუდამ იმაზე ფიქრობდა, რომ დავასრულებ მალე ინსტიტუტს და მთელ ჩემს ახალგაზრდულ ენერგიას, ცოდნას და გამოცდილებას მშობელ ერის კეთილდღეობას შევწირავო. მან იცოდა რომ ჩვენი ერი ღარიბია სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებით და ამიტომაც იყო, რომ ის დღე და ღამეს ასწორებდა, ყოველთვის მუშაობდა, ძვირად თუ ვინმე ნახავდა მას უსაქმოდ, უნდოდა რაც შეიძლება მალე დაესრულებია სასწავლებელი და დროზე მიეხედნა თავის მცოდნე პირებზე მოწყურებულ სამშობლოსათვის.......

მაგრამ ულმობელია ბედისწერა! სასტიკი და გარდუვალია მისი განჩინება... ვერაგმა სიკვდილმა უდროოდ გამოასალმა იგი წუთისოფელს!

არ დასცალდა უბედურს განეხორციელებია წლობით ნატრფიალები ახალგაზდური ოცნებები და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, 20 წლისა, ენერგიით აღსავსე ჩავიდა შავს სამარეში. ის ვერ მოესწრო საყვარელ იდეალების განხორციელებას, მისი ლამაზი სიცოცხლის ძაფი უდროოდ გაწყდა!

ჩვენ მისმა ახლობელმა ამხანაგებმა დავკარგეთ მასში ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი და ჩვენმა ერმა კი მომავალში დიდი იმედების მომცემი ახალ-გაზრდა ინტელიგენტი, ის მოკვდა თავის მოვალეობის ასრულების დროს სამშობლოს წინაშე და მადლიერი სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს მის სახელს! ის ტკბილად ჩაიკრავს მის გაცივებულ გვამს თავის გულმკერდში და მშობლიურ ნანას ეტყვის მას.

განისვენე მშვიდად ძვირფასო ამხანაგო საშა, შენი სახელი დაუვიწყარ იქნება შენს ამხანაგ-მეგობრებს შორის.

სტ. შალვა ბუაჩიძე.

## პატარა ფელეტონი.

### სურათები.

(ფრიად თავისუფალი თარგმანი ა. ჩერნიდან.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტვირი.

ამხანაგებო... [illegible]!
მოდით, [illegible],
შენ წინ [illegible], რიგზე,
მომიდექ [illegible].
აი, ხედავთ? ამ კოლოფში
სურათებია.
აბა, მიხვდით, ვინ დახატა?
— სულ ჩვენებია!
მომიწონებთ?—მიამება!
არა და... რა ვქნა?
განა ყველას ხვედრი არის
გვირგვინი... დაფნა!

1.

**კარლო ჩხეიძე** (თავმჯდომარე ამიერ-კავკასიის სეიმისა)

მორიდებით ჩამოდექი, ხელი არ ახლო,
ვერ იცანი, უხეირო?
— ეს არის კარლო!
დიდი მარქსის მოსახელე, ძმად—შენაფიცი,
პროლეტარის სიამაყე, ნუ თუ არ იცი,
ხემწიფე რო ჩამოაგდო პეტროგრადშია?
(ამის შემდეგ დუნიაზე აღარვის შია!)
ესდეკები თაყვანს სცემენ მოწიწებითა,
პროლეტარი იხსენიებს ქებათ-ქებითა!
სოციალი მაგისთანა,
არ ვის უნახავს,
თავის ხელით ბალს აშენებს და თითონვე ხნავს!
ტარტაროზი ვერ აჯობებს
ამბოხებაში,
თავი არის რევოლუცის და უსტაბაში!
რუსის მუშამ თვისი გმირი ვერ დააფასა.
(ფუ! შეურცხვა ერთგულება,—რად გაათარა?)
იმათ ჯიბრზე კავკასიამ
ხელთ-აიყვანა,
ახალგაზდა პარლამენტში გამოიყვანა,
სავარძელი პირველობის მას მიუჩინა,
უსამშობლო სამშობლოში გამოაჩინა.
სიყვარულით, ერთგულებით გამობრწყინა!

———

იმედია, აწ მაინც არ დასტოვებს „პოსტს“,
და აქედან კვლავ აღადგენს პროლეტართა „ფრონტს“.

— —

2.

**ევგენი გეგეჭკორი.** (სამხედრო მინისტრი).

რომ დაემხო მტარვალობა რუსთა ხელმწიფის,
ხალხმა ერთხმად დაიძახა:—„ვის მივენდოთ, ვის?“
ითათბირეს, გადათვალეს ერთი, თუ ორი.
ყველას უკეთესიაო ე. გეგეჭკორი!..
ჯარისკაცმა და გლეხებმა ერთად იხავხავეს,
და როს ნახეს დრო და ჟამი მტერი დაიცხავეს!
მუშამ ქარხნით შემოსძახა:—„აღდგომისა დღენი“.
დაგვიყენეთ ხელმძღვანელად ევგენიო ჩვენი!..
თავმჯდომარედ აირჩიეს, მისცეს უფლებაო,
გეგეჭკორმაც ადიადა თავისუფლებაო.
გაიჯგიმა სავარძელში, ვითა ნეპტუნიო,
მას არ უყვარს, ეჯავრება ჩუმად პუტუნიო...
ბურჟუებსა და თავადებს დაუცაცხანაო,
მშრომელ ხალხს კი დაუმტკიცა მთელი ქვეყანაო.
ორ კვირაზე შეისწავლა მხედართ ადათიო,
თუმც ვერ არჩევს, ვინ გლეხია და ვინ სალდათიო.
„პაგონები“ გააუქმა, მოსპო მუნდირიო,
ბუზმენტებს ნუ ატარებსო, სახალხო გმირიო,
ამოიღოს, საცა ღრეა და ან ნაპრალიო,

„...რდესო მთა და ბარი! ბრძანებს „კაპრალით"

[illegible]

იალბუზი ძირს დაეცა და გამეფდა სერი, —
ამ საწყალს დიდის ხნობით მოელოდა ერი!..

— —

3.

**აკაკი ჩხენკელი.** (გარეშე საქმეთა მინისტრი).

დღევანდლამდე არა გვყავდა მაკიაველი,
დღეს კი ღმერთმა შეგვიბრალა და მოგვცა ჩხენკელი!
მართალია, დიდ დიპლომატს წელს თუ მოადგება,
მაგრამ მაინც კავკასიას ქე გამოადგება.
თვალხუჭუნა ჩამოგითვლით დიდრონ ქალაქებსა,
არც ერთ რუქას არ დახედავს
და არც ახლებს ხელსა,
ვინაიდან კარგად იცის დიდ-ევროპის გზები.
(არა ერთხელ დაიცვითა ჩექმის ქუსლ-დეზები!)
იცის კარგად, სადაც არის პარიზი და ვენა.
(რუსეთიდან გაქცეულმა ბევრჯელ დაისვენა)
ბერლინი და ბუდაპეშტი
ნახული აქვს ძველად
და იცის, რომ კავკასია თათრებსა ჰყავთ მძევლად.
ახლა არის ტრაპეზუნში აპარპალებს თვალებს,
იმედი აქვს, რაუჰ-ბეის
მუშებს შეაბრალებს!..
ომის ნაცვლად ზავს მოუტანს,
გაახარებს მხდალებს,
პროლეტარით დააშინებს ცბიერ თურქოსმალებს...
ღმერთმა მისცეს განსვენება იმის მამა პაპას,
თუ დაუშლის თვის პროგრამას
ქართვლის გადაყლაპას!

— —

4.

**ვ. გობეჩია** (საზღვაო მინისტრი).

ტან-მომცროა და ჩაგვერა,
ცოტა განზე უყვარს მზერა!
ერთი ციდა და მტკაველა...
(ქუთაისში იცნობს ყველა.)
აქ სწავლობდა, აქ დახტოდა,
კოპწია და ცუგრუმელა.
კლასში მისთვის არ ყოფილა
არცა ჯავრი, არცა ურვა.
მისთვის წიგნი იყო წყალი,
გაკვეთილი — წყალში ცურვა.
მოაბეზრა თავი ყველას
ეშმაკობა, ქაჯობითა,
ვერავინ ვერ დაიკვეხდა
იმის კაი-კაცობითა!
მაგრამ, დახეთ ბედის წერას,
რა სცოდნია და რა არა:
ხანმა განვლო, დრო გავიდა,
სიყმაწვილემ გადიარა...
წყალში ცურვა გამოადგა,
ცოდნამ მოჰკლა უმეცრება
და დღეს ჩვენი პაწა ლადო
ზღვაოსნობას ეუფლება!..

— —

**ნოე რამიშვილი** (შინაგან საქმეთა მინისტრი).

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად".
ღმერთსა ვფიცავ არ გიმტყუვნოთ,
ტუსაღნო და წამებულნო,
თქვენი ჭირი მიჩანს ჭირად,
ძველ რეჟიმით დატანჯულნო!
კარგად ვიცი, კარგად მახსოვს,
ჩემი დღენი, ჩემი ყოფა,
ციხიდანა ციხეებში,
კვალად თავის ამოყოფა!
თვალს ავახელ, თვალს დავხუჭავ,
მაინც ვხედავ წყეულ ჟანდარმს!..
მაგრამ რაკი მოვესწარი
ამ ნეტარ დროს და ნეტარ ჟამს,
რომ თვით გავხდი მინისტერი,
ვის ემონვის სპა ჟანდარმთა,
ვფიცავ მოვსპო ჩვენი მტერი,
გავასწორო ბარი და მთა!

— —

5.

**ნოე ხომერიკი** (მიწადმოქმედების მინისტრი).

არ გეგონოთ ეს სურათი, არც ჯოლოკი და არც რიკი,
ამაზეა დახატული ჩვენი მუშა ხომერიკი!..
კარგათ გახსოვთ ხომ სუყველას ჩუნჩუზა და შავი ბლუზა,
მისი მწარე ენა პირი, მის კალამი, მისი მუზა?
გურულია... გურიაში არ აქვს ერთი ციდა მიწა,
არც უხნავს და არც უთესავ, არც უცვნია დედამიწა!
მაგრამ მაინც ბედის ბრუნვით მიენიჭა მინისტრობა —
ისიც მიწის... გლეხებისა...
(რა კარგია ესდეკობა?!)

ი. ე.

## ანარქიის ლიკვიდაცია გორის მაზრაში.

გორის მაზრაში ანარქიის ჩასაქრობად წითელი გვარდია, გაიგზავნა რომლის მოქმედება სრული გამარჯვებით გათავდა.

აქ მოგვყავს გაზ. „ერთობიდან" შემოკლებით „სან-გან"-ის მოხსენება გორის მაზრაში ანარქიის ჩაქრობის შესახებ.

თფილისის გუბერნიის კომისარის მიერ დროზე მიღებული ზომების წყალობით ანარქია გორის მაზრაში თითქმის მოისპო. რამოდენიმე სოფელში მცხოვრებლებს თავი აყარეს, ყაჩაღთა ბრბოების ზოგიერთი მეთაურნი დაიჭირეს და რევოლუციურ ტრიბუნალს გადასცეს. დაიჭირეს ნიჩბისელი ციციშვილების მკვლელები, რომელთაც ტრიბუნალმა დახვრეტა გადაუწყვიტა, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი. ერთის სიტყვით, მთელ მაზრაში ბოლშევიზმი ქრებოდა და თანდათან მყარდებოდა რევოლუციური წესიერება, რომელიც, სამწუხაროთ, დარღვეულ იქმნა ცხრა მარტს სოფელ ოსიაურში, სადაც გამხეცებულმა ავაზაკებმა ამოჟლიტეს მთელი ოჯახი გიორგი ვეზირიშვილისა, გაძარცვეს და გაანადგურეს მისი სახლი. ვეზირიშვილის მკვლელები უკვე შეიპყრეს და გორის ციხეში გაგზავნეს. ამ მოკლე ხანში მათ გაასამართლებს რევოლუციონური ტრიბუნალი და მიუსჯის შესაფერ სასჯელს. ამ მკვლელობის შესახებ თფილისის გუბერნიის კომისარმა მიიღო ცნობა 10 მარტს ქ. გორში. რადგანაც 11, 12, 13 და 14 მარტს მიტინგები იყო დანიშნული: სოფ. კავთისხევში, ახალქალაქში, გომში და ატოცში, გუბერნიის კომისარმა განკარგულება გასცა, რომ ოსიაურში წასულიყო გორის მაზრის კომისარის თანაშემწე ვალიკო გოგუა წითელი გვარდიით და მილიციით შესაფერი ზომების მისაღებათ, ხოლო თითონ გაემგზავრა სოფელ კავთისხევში, სადაც დაგვხვდა ხუთი ათასამდე კაცი და ქალი. წესიერებას იცავდა კავთისხევის რაიონის წითელი გვარდია რიცხვით ას კაცამდის. პირველად ილაპარაკა გუბერნიის კომისარმა კ. ჯაფარიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო დღევანდელ მომენტს, ოსმალეთთან მოსალოდნელ ომს, ბოლშევიკების მთავრობის ავანტიურას, მათი ანარქიული მოქმედების წყალობით რუსეთის დაღუპას. დიდხანს შეჩერდა წითელი გვარდიის შემადგენლობაზე და მის მნიშვნელობაზე. მოიყვანა რამოდენიმე მაგალითი წითელი გვარდიის გმირული მოქმედებისა, ხალხი აღტაცებაში მოვიდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე გურულების მოწოდებამ, რომელიც გუბერნიის კომისარმა წაუკითხა ხალხს და, როდესაც ჯაფარიძე შეეკითხა მიტინგზე დამსწრე საზოგადოებას: ნუ თუ თქვენ მისცემთ ნებას ოსმალეთს, რომ მას გასთელოს ფეხქვეშ ჩვენი რევოლუცია, ჩვენი თავისუფლება, ნუ თუ თქვენ დაუთმობთ მტერს ბათუმს, ამ ოქროს ღილს კავკასიისას, ურომლისოთ საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია, ნუ თუ თქვენ დაუთმობთ მტერს ყარსს — ამ გასაღებს ამიერ-კავკასიისას, ნუ თუ თქვენ არ დაეხმარებით გურიას, რომელნიც ალსდგა და გმირულათ უპირებს გამკლავებას თავხედ მტერს, — აღტაცებულმა ხალხმა ერთხმათ შესძახა: ყველა გავწყდებით და ჩვენ ქვეყანას და თავისუფლებას არავის დაუთმობთო.

იმავე აღტაცებით და იმავე ნდობით შეხვდა ხალხი გუბერნიის კომისარს 12 მარტს ახალქალაქში, სადაც შვიდიათასამდე კაცისა და ქალისაგან შემდგარმა მიტინგმა იგივე რეზოლიუცია გამოიტანა. ყოფილ ჯარისკაცებისაგან იქაც შემდგარა გვარდია ამხ. კოლა კაციაშვილის მეცადინეობით. აქვე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კავთისხევისა და ახალქალაქის რაიონებში სრული რევოლიუციონური წესიერება სუფევს. სასტიკათ ებრძვიან ქურდ-ბაცაცებს, კაცის მკვლელებს და ყოველ-გვარ ნაძირალებს, რაც უნდა მიეწეროს ამხ. თათარაშვილისა კაციაშვილის და დანარჩენი ჩვენი ამხანაგების დაუღალავ შრომას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ რაიონებიდან პირველ დაძახებისთანავე გამოვა ათასამდის შეიარაღებული შეგნებული და საიმედო მებრძოლი გვარდიელი. კომისარის გოგუას მეთაურობით სოფ. ოსიაურს თურმე ალყა შემოარტყეს და სოფლელებს წინადადება მისცეს ერთი საათის განმავლობაში ვეზირიშვილის მკვლელებ-მძარცველები და გატაცებული ნივთები წარმოედგინათ, რაც აღსრულებულ იქმნა.

ჩვენს მისვლამდის დაეპატიმრებიათ ექვსამდე კაცი, რომელთაგან ერთს თვით გუბერნიის კომისარმა ჩამოართვა ჩვენება. ამ ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ყველა იმ საზიზღარ საქმეებში, რომელიც მოხდა ოსიაურში მიუღიათ მონაწილეობა როგორც სოფელ ოსიაურის ქართველ ნაძირალებს, ისე გარეშე სოფლიდან მოსულ ოსებისაგან შემდგარ ავაზაკებს ამავე ღამეს ორი კაცი კიდევ დაიჭირეს, სახლების გაჩხრეკის დროს იპოვეს გატაცებული ნივთები, რომელიც ინახება ხაშურის კომისარიატში. ერთი სიტყვით, მიღებულია სასტიკი ზომები და სრული დარწმუნებული ვარ რომ ყველას, ვისაც მიუღია ამ მკვლელობაში მონაწილეობა დაიჭერენ და ყველა მიიღებს სასტიკ სასჯელს, რასაც საჯაროთ აცხადებდა გუბერნიის კომისარი ყოველ მიტინგზე. შესანიშნავათ ჩაიარა აგრეთვე გომის მიტინგმა, რომელიც მოხდა 13 მარტს. იგივე სიტყვები, იგივე აღტაცება და ერთსულოვანება ხალხისა და იგივე რეზოლუცია, რომლის შინაარსი ზემოთ მოვიყვანეთ. აღსანიშნავია მხოლოდ ის რომ ის ბოლშევიკი, რომელიც კავთისხევში დაგვხდა, გომშიაც მობრძანდა, მაგრამ სიტყვის თქმა ვეღარ გაბედა. გომიდან გავემგზავრეთ ბორჯომში იქაური კომისარიატის საქმეების მოსაწესრიგებლათ.

ქვიშხეთის პლატფორმაზე დავინახეთ აურებელი ხალხი, რომელთაც გაეგოთ, რომ ბორჯომში მივდიოდით და ჩამოსულიყვნენ ჩვენ დასახვედრათ წითელი დროშებით. გუბერნიის კომისარმა მატარებელი გააჩერა, ჩამოვიდა და მიესალმა ხალხს იქაც, როგორც სხვაგან განუმარტეს ხალხს დღევანდელი მომენტი, მოსალოდნელი საფრთხე გარეშე მტრისაგან, წაუკითხეს გურულების მოწოდება და წინადადება მისცეს ხალხს მხარი დაუჭირონ სეიმს, კომისარიატს და მზათ იყვნენ რევოლუციის, თავისუფლების და ქვეყნის დასაცავათ, რაც ერთხმად აღუთქვა ხალხმა.

ბოლოს, გუბერნიის კომისარის წინადადებით, ქვიშხეთმა და მის გარშემო მდებარე სოფლებმა გამოარჩიეს 50 გვარდიელი, რომელნიც იმავე ღამეს წაყვენ გუბერნიის კომისარს ატოცისკენ, საითკენაც გავემგზავრეთ წითელ გვარდიელებთან და მფრინავ ცხენოსან რაზმთან ერთად. 14 მარტს დილის 7 საათზე დიდებულ სურათს წარმოადგენდა ჩვენი მგზავრობა ატოცისკენ. ყოველ სოფელში ხალხი აღტაცებით გვეგებებოდა.

ატოცს რომ მივახლოვდით, ჯვართან ატოცის რაიონის გვარდიელები პურ-მარილით შეგვეგებენ. მოკლე და შინაარსიანი სიტყვის შემდეგ, რომლითაც მათ მიმართა გუბერნიის კომისარმა, გავემგზავრეთ იმ ადგილისკენ, სადაც ტრიბუნა იყო გამართული და სადაც [illegible] ათას ქართველს, ოსს და სომეხს მოეყარა თავი. [illegible] ლაპარაკისა [illegible] იყო, რაც წინანდელ მიტინგებზე [illegible] კმაყოფილი [illegible] ყველამ [illegible] გვიცხადა, რომ ისინი მზათ არიან [illegible] მომხრეები [illegible] კომისართან და [illegible] ახალგაზრდებთან ერთად წავიდნენ თურქებთან საბრძოლველათ. [illegible] მართალია [illegible] მაინც ახალგაზრდებს სამშობლოსათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლას და სიკვდილსო. იქვე შევიტყვეთ, რომ მიტინგზე მოსულიყო ცნობილი ისაკ ხარებაშვილი, რომელსაც აბრალებდნენ ყაჩაღთა ბრბოების შედგენას. მართლაც მიტინგის გათავების შემდეგ გუბერნიის კომისარს წარუდგა ნახსენები ხარებაშვილი და სთხოვა პატიება. გამოირკვა, რომ ფრონტიდან დაბრუნებულმა ოსმა სალდათებმა შეადგინეს რაზმი იმ მიზნით, რომ თავად-აზნაურობისათვის იარაღი ჩამოერთმიათ. მიზეზი ამ რაზმის შედგენისა ყოფილა შემდეგი გარემოება. სოფელ კორბოულში (შორ. მაზრ.) ერთ გლეხს თავს დასხმიან ავაზაკები, რომელნიც სოფლელებმა დაიჭირეს და დახვრიტეს. ყველა ეს ავაზაკები აზნაურები გამოდგნენ. ამ შემთხვევის გამო გავრცელდა ხმა რომ თავად-აზნაურობა იარაღდება და ესხმის თავს გლეხობას [illegible] ამან მისცა საბაბი, რომ ზემოთ ხსენებული რაზმი შემდგარიყო და ხარებაშვილიც, რომელსაც ძალა დაატანეს, იძულებული იყო ამ რაზმის მეთაურობა ეკისრა.

გუბერნიის კომისარმა ხარებაშვილს უთხრა: „მე მიპატიებია თქვენთვის, მხოლოდ გახსოვდეთ, რომ იმ პირების წინაამდეგ, რომელიც არა სცნობენ და არ ემორჩილებიან დღევანდელ მთავრობას, სასტიკი ზომებია მიღებული, ჩვენ სასტიკათ ვსჯით ყოველ მტერს რევოლუციისას რასაც თქვენ გაიგებდით, ამიტომ როგორც შეგნებულ კაცს წინადადებას გაძლევთ ჩვენთან ერთად თქვენც შეებრძოლოთ იმ ანარქიას, რომელიც ყველაზედ უფრო თქვენთვის, ოსებისათვის არის საზარალო". ჩემის აზრით გუბერნიის კომისარი მოიქცა ძალიან კარგათ რომ ხარებოვის საქმე ასე გაათავა.

ატოციდან ქვეშ ტკოცაში ჩამოვიარეთ, სადაც გიორგი გომართლის სახლში შევიკრიბეთ და ხალხს დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრეთ. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ გუბერნიის კომისარის ერთი თვის მოგზაურობამ გორის მაზრაში და იმ ზომებმა, რომელიც მის მიერ იქნენ მიღებული ანარქიის წინააღმდეგ, შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

---

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

---

## მატარებლების მიმოსვლა.

15 იანვრიდან 1918 წ.

ნაჩვენებია ადგილობრივი ახალი დრო.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 5 ს. 50 წ. |
| „ | — საღამ. — | 9 ს. 50 „ |
| ბათომიდან და თფილისიდან | | |
| | დღისით — | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 10 „ |
| „ | — დღის — | 12 ს. 55 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ და ბათომისაკენ | | |
| | დილის | 8 ს. 40 წ. |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | დღისით | 1 ს. 40 „ |
| ,, | — საღამოს — | 7 ს. 1 ,, |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| თბილისისაკენ | პირდაპირ საღამოს | 10 „ |
| ტყიბულს | — დღისით — | 2 ს. 37 ს. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.